

21/08/2024



MES 3 24 0000996323

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 9 აგვისტოს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Aug 9, 2024 12:00 PM Tbilisi

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/84460970678?pwd=hquYyyHPGInxYlYoqoY5brbJREOz19.1>

Meeting ID: 844 6097 0678

Passcode: 588421

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);

თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);

მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);

ნათია გვირგვინი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

სოფიკო ბეჭირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდლაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

თეიმურაზ ლორთქიფანიძე - დირექტორი

ნინო მაგანია - ხარისხის მართვის მენეჯერი

მარიამ პაპიაშვილი - სასწავლო პროცესის მენეჯერი

თეიმურაზ მიქიაშვილი - „ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაკა ბერიძე - რექტორი

ნუნუ ჭაღიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

ნანა ზუბაშვილი - „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი

შპს თეგეტა აკადემია

ოთარ სიხარულიძე - დირექტორი

გიორგი ცინარიძე - დირექტორის მოადგილე

ნინო ერისთავი - ხარისხის მართვის მენეჯერი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:

ელისო მურვანიძე

თამარ ახალაძე

ვალერი ჯაჯანიძე

ირმა ღარიბაშვილი

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორი“ /02005/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /01944/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. შპს თეგეტა აკადემიის „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის მომზადების პროგრამა“ /01977/ ქ. ფოთში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. შპს თეგეტა აკადემიის „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის გადამზადების პროგრამა“ /01973/ ქ. ფოთში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორის ოპერატორის მომზადების პროგრამა“ /01975/ ქ. ფოთში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
6. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორის ოპერატორის გადამზადების პროგრამა“ /01976/ ქ. ფოთში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
7. შპს თეგეტა აკადემიის „სატვირთო ავტომობილის ელექტრო და პნევმატური სისტემების შეკეთება“ /01978/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს თეგეტა აკადემიის „სპეციალური დანიშნულების ტექნიკის დიაგნოსტიკა და შეკეთება“ /01979/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

9. შპს თეგეტა აკადემიის „სატვირთო ავტომობილის პროდუქტების გაყიდვების კონსულტანტი“ /01980/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

10. შპს თეგეტა აკადემიის „მსუბუქი ავტომობილის კომპიუტერული დიაგნოსტიკოსის მომზადების პროგრამა“ /01981/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

11. შპს თეგეტა აკადემიის „მსუბუქი ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილის ელ. დიაგნოსტიკოსის მომზადების პროგრამა“ /01982/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

12. შპს თეგეტა აკადემიის „მსუბუქი ავტომობილების პროდუქტების გაყიდვების კონსულტანტის მომზადების პროგრამა“ /01983/ ქ. ბათუმში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

13. შპს თეგეტა აკადემიის „პორტალური და ჯოჯგინა ამწის ოპერატორის მომზადების პროგრამა“ /01971/ ქ. ფოთში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

14. შპს თეგეტა აკადემიის „პორტალური და ჯოჯგინა ამწის ოპერატორის გადამზადების პროგრამა“ /01970/ ქ. ფოთში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

15. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორის მომზადების პროგრამა“ /01972/ ქ. ფოთში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

16. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორის გადამზადების პროგრამა“ /01974/ ქ. ფოთში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორი“ /02005/ ქ. თბილისში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ელისო მურვანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 20 ივნისის № 715220 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაია აბდალაძემ და დარგის მოწვეულმა ექსპერტმა ელისო მურვანიძემ 2024 წლის 19 ივლისს განახორციელეს ვიზიტი სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯში, ქ.თბილისში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორი“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა სამივე სტანდარტთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 1.2 და 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში, გაიცა ერთი რეკომენდაცია 1.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ხარვეზი

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება არის შეცდომაში შემყვანი და საჭიროებს დაკორექტირებას. (ექსპერტის აზრით პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდება უნდა იყოს „**მწვრთნელის თანაშემწე ადაპტურ სპორტში**“ ან ზოგადი სახელწოდება „**ადაპტური ფიზიკური აღზრდა და სპორტი**“).

ქვესტანდარტი 1.6 - პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგები და თემატიკა გასასწორებელია (დასკვნის აღწერაში დეტალურადაა გაწერილი ექსპერტის მიერ ხუთიდან ოთხი სწავლის შედეგი და რა თემატიკაა დასამატებელი, ამოსაღები თუ შესაცვლელი)

რეკომენდაცია

ქვესტანდარტი 1.3 - პროგრამის მიზანი მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სახელწოდების ცვლილებასთან კავშირში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 19 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის ქ. №14.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორის პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთება, სადაც აღწერილია, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ადაპტურმა ფიზიკურმა აღზრდამ და მასთან დაკავშირებულმა საკითხებმა, როგორც ფიზიკური კულტურის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ქვესისტემამ.

ადაპტური ფიზიკური აღზრდა, როგორც ინკლუზიური განათლების სპეციფიკური და განსაკუთრებული ნაწილი მიმართულია შშმ და სსმ პირთა მოთხოვნილებების

დასაკმაყოფილებლად, მოძრაობითი დარღვევებისა და გადახრების აღსადგენად, ფიზიკური და სულიერი ძალების რეაბილიტაციისკენ, რათა მოხდეს შშმ და სსმ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

„ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს კვალიფიციური კადრების მომზადებას და უზრუნველყოფს საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, რათა მომავალში მათ შეძლონ მოსახლეობაში და განსაკუთრებით სსმ და შშმ პირებში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება და სპორტის ინკლუზიურობის პოპულარიზაცია. ვინაიდან, მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა და სპორტში აქტიური ჩართულობა არის ის, რაზეც შენდება მოსახლეობის ჯანმრთელობა, ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარება და არ აქვს მიშვნელობა, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური თუ სხვა მახასიათებელი გააჩნიათ მათ.

როგორც აღინიშნა პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით გამოვლინდა ხარვეზი.

მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოვლინდა ხარვეზი.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლების ფორმას. დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული პარტნიორთან - თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრთან, პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მიზნით. ხელშეკრულების შესაბამისად, თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი გადასცემს სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს უსასყიდლოდ ისარგებლოს სპორტული დარბაზით, მდებარე ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის №5. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან, რომელმაც დაადასტურა მზაობა მსმენელების მიღების და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

მსმენელის შეფასების სისტემასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 31.03 №03-02 ბრძანებით (ცვლილება 2023წ. 29.12 №03-31) დამტკიცებულია „სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების ადმინისტრირების მარეგულირებელი წესი“, რომლის მერვე თავში გაწერილია მსმენელის შეფასების სისტემა.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს ხუთი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. აღნიშნულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ექსპერტის მიერ ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებლების პირადი საქმე და შედგა ხუთივე განმახორციელებელთან გასაუბრება. აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ კოლეჯის მიერ შერჩეულ პირებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ დარგში და შესაბამისად უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისათვის აქვს ერთი AC გარემო, მოთხოვნილი 20 მსმენელისთვის, სასწავლო გარემო აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, რაც პროგრამის დოკუმენტში არის გაწერილი. დასტურდება, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. დაწესებულებას პროგრამისთვის წარმოდგენილი აქვს 18 სასწავლო რესურსი, როგორც მატერიალური სახით, ასევე აქვთ ელექტრონული ბიბლიოთეკა და მსმენელებს შეუძლიათ მოიძიონ დასახელებული ლიტერატურა. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისთვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში. დაწესებულება ახორციელებს ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ და პროფესიული მომზადება/გადამზადების ცხრა მოკლევადიან პროგრამას.

დაწესებულება აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც დასტურდება „სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების ადმინისტრირების მარეგულირებელი წესით“,

კოლეჯი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას. წარმოდგენილი მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში მოხდება საზოგადოების ინფორმირება და ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია ნებისმიერი მსურველისთვის ორგანიზაციის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში კოლეჯის ადამიანური რესურსების და საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) მენეჯერის მიერ.

საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რეგულატორ მექანიზმებს, რაც დასტურდება დოკუმენტით - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

გაცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, კოლეჯის მარეგულირებელი წესის მე-18-ე მუხლში გაწერილია სერტიფიკატის გაცემის წესი. 2022 წლიდან დღემდე გაცემულია 217 სერტიფიკატი თბილისისა და ქუთაისის ლოკაციაზე, მათ შორის, თბილისში გაცემულია - 129 სერტიფიკატი.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გამოეთქვა მოსაზრება გამოვლენილ ხარვეზებთან და გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი ნინო ძაგანია მიესალმა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ დაწესებულებამ 2021 წლიდან დაიწყო პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება სპორტის ინსტრუქტორის მიმართულებით (სახეობების დაკონკრეტებით). ამ მომენტისთვის კოლეჯში ორ ლოკაციაზე (თბილისისა და ქუთაისში) ხორციელდება 11 მოკლევადიანი პროგრამა, სპორტის რვა სახეობაში.

2024 წელს შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი - სპორტის ინსტრუქტორობა და ჩამოყალიბდა ინსტრუქტორისთვის და მწვრთნელის თანაშემწის (ასისტენტი) მოვალეობები და ამოცანები. სპორტული ინსტრუქტორი ფლობს იმ ცოდნასა და უნარებს, რომ მან შეძლოს სასწავლო-საწვრთნო პროცესის წარმართვა დაწყებით შემსწავლელ ჯგუფებში. მწვრთნელის ასისტენტის (თანაშემწის) პოზიციაზე, უკვე არსებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის განხორციელება, მწვრთნელის მითითებით. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ინსტრუქტორის პროფესიული მომზადების პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სამოყვარულო, მასობრივ და დაწყებით შემსწავლელ ჯგუფებში, ასევე სპორტულ კლუბებსა და გუნდებში მწვრთნელის თანაშემწის (ასისტენტის) პოზიციაზე. პროფესიის სტანდარტის მიხედვით, სპორტის ინსტრუქტორი არის სპეციალისტი, რომელიც სპეციალური სავარჯიშო პროგრამების შესაბამისად ახორციელებს ფიზიკური პირის ან პირთა ჯგუფის გაჯანსაღებას და ეხმარება მათ სპორტის სახეობის შესაბამისი ტექნიკური უნარების დახელოვნებაში. სპორტის ინსტრუქტორის ტიპურ სამუშაო გარემოს წარმოადგენს სპორტული დარბაზები, გარე მოედნები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები და მსგავსი

დანიშნულების სივრცეები/-დაწესებულებები. მისი სამუშაო დრო როგორც წესი, ნორმირებულია, თუმცა საჭიროებს ყურადღების გამუდმებულ მობილიზაციას. სპორტის ინსტრუქტორის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების განხორციელების მიზნით, ურთიერთობა აქვს, როგორც სპორტის მწვრთნელებთან, ასევე, სპორტის სფეროში მომუშავე სხვა თანამდებობის პირებთან.

გარდა ამისა, ამ ტიპის სწავლება უკვე ორი წელია წარმატებით მიმდინარეობს და კურსდამთავრებულების უმეტესობა - 80 პროცენტზე მეტი პროფესიით არის დასაქმებული. რაც დასტურდება რეესტრის მონაცემებით.

მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების პოზიცია უფრო მყარი რომ ყოფილიყო, დაუკავშირდნენ ორ მოქმედ მწვრთნელს, ერთ-ერთი არის პარაოლიმპიელი ეტლით მოსარგებლე, გაუზიარეს წარმოდგენილი პროგრამა და მიმართეს თხოვნით, რომ მოეწოდებინათ მოსაზრება პროგრამის სტრუქტურასთან, სახელწოდებასთან, მიზანთან და შედეგებთან მიმართებაში. მან მიმართა საბჭოს წევრებს, რომ ორივესგან მიიღეს პასუხი, და თუ საბჭო დაინტერესდებოდა გაუზიარებდა ამ წერილებს, ასევე, მან წაიკითხა ამონარიდი წერილიდან, კერძოდ - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, „ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორის“ პროგრამა ხელს შეუწყობს შშმ პირების სპორტში ჩართულობას. დაახლოებით ასეთივე შინაარსის წერილი იქნა მიღებული მეორე მწვრთნელისგან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, იყო თუ არა ეს წერილები ცენტრში გამოგზავნილი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს წერილები მოდიებულ იქნა ექსპერტთა ვიზიტის განხორციელების შემდეგ.

ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა ეს წერილები დასკვნის გაცნობის შემდეგ დაწესებულებას წარმოედგინა ცენტრში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა დარგის ექსპერტმა, მან აღნიშნა, რომ კონსულტაცია გაიარა სპეციალისტებთან, ასევე, გაეცნო უცხოურ სტანდარტებს, მან დასძინა, რომ აშშ-ში არსებობს ასეთი კონსორციუმი, „შშმ პირთა კონსორციუმი - ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარებას, თვითონ სტანდარტის მიხედვით, ასეთ პირებთან მუშაობა შეუძლია პირებს, ვისაც აქვს განათლება ფიზიკური აღზრდის ან მომიჯნავე სპეციალობაში, ასევე, უნდა ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება შშმ პირებთან მუშაობის, ეს ადამიანები, არიან განსხვავებული ადამიანები, თავისი მოძრაობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. გამონაკლისი შეიძლება იყოს ის, რომ ასეთ პირებთან მომუშავეს საბაკალავრო პროგრამის 3 კრედიტი მაინც უნდა ჰქონდეს გავლილი, ან ფიზიკური თერაპია, ან ოკუპაციური თერაპია, აუცილებლად უნდა ჰქონდეს 200 საათი მაინც სამუშაო გამოცდილება. განსხვავებით აშშ-ს სტანდარტიდან, ევროპულ სტანდარტს აქვს სამი მიმართულება, ადაპტური ფიზიკური აქტივობა, ადაპტური ფიზიკური რეაბილიტაცია, ადაპტური აღჭურვილობა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, სადაც არის მხოლოდ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, არ არის პროფესიული პროგრამები, ადაპტური ფიზიკური აღზრდის ინსტრუქტორებს ევალებათ სკოლებში სწავლება, მან აუცილებლად უნდა იცოდეს თამაშის წესების შერჩევა, სავარძელ-ეტლები და სხვ. მან აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს თუ რომელი სახეობაა, ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს პირები დასაქმდებიან თანაშემწეებად, დარგის ექსპერტის აზრით, კარგი იქნებოდა, თუ დაკონკრეტდებოდა სახეობა, ნამდვილად მნიშვნელოვანი და სასარგებლო პროგრამა გამოვიდოდა.

ასევე, მან დააფიქსირა მოსაზრება პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, ინსტრუქტორისთვის ხანგრძლივობა 19 კვირა არაა საკმარისი, შესაბამისად ქართველ ექსპერტებთან/სპეციალისტებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ სახელწოდება უნდა იყოს თანაშემწე, დამხმარე ადაპტურ სპორტში.

საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ არასოდეს ყოფილა კრიტიკული, თუმცა შშმ პირებთან მუშაობის 10 წლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე თვლის, რომ პროგრამა აუცილებლად უნდა იყოს მიზნული კონკრეტულ სახეობასთან. წინაპირობა ოკუპაციური თერაპევტი მაინც უნდა იყოს, ასისტენტი კიდეც სხვა რამეა, გარდა სტანდარტისა, სხვა ტექნოლოგიები არის, თუ მითუმეტეს არსებობს სტანდარტი, უნდა იყოს გადამზადების და არა მომზადების პროგრამა, რომელიც დაფუძნებული იქნება სტანდარტზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასაკონკრეტებელია სწავლის შედეგები სახეობის მიხედვით. ასევე, გასათვალისწინებელია დარგის ექსპერტის მოსაზრება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაწესებულებას, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული პროგრამა არ არის მზად იმისთვის, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდეს, შესაბამისად გადასახედია პროგრამა, როგორც სახელწოდება, მიზანი, შედეგები, დაშვების წინაპირობა და ასევე, გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო გამოცდილება და დასძინა, რომ ამ ეტაპზე ვადის განსაზღვრა უფრო მართებული იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორი“ /02005/ ქ. თბილისში პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - ადაპტური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორი /02005/ ქ. თბილისში - ხარვეზის გამოსასწორებლად.

საბჭოს სხდომას მეორე საკითხის დაწყებამდე შემოუერთდა საბჭოს წევრი მარიამ ქუჩულორია

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /01944/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 13 ივნისის №660529 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდლაძემ 2024 წლის 11 ივლისს განახორციელეს ვიზიტი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106), სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადების პროგრამის „სასოფლო - სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, გამოცდილება - სოფლის მეურნეობის მიმართულებით (არანაკლებ 6 თვე), მემცენარეობის დარგში დასაქმებული ფერმერი და/ან აგრონომი და ან/აგრომეწარმე და/ან აგრობიზნესის წარმომადგენელი და/ან აგრარული მიმართებით საინფორმაციო-საკონსულტაციო ორგანიზაციის თანამშრომლები, აგრარული მიმართულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 10 კვირას, სულ 92 საათი. სასწავლო პროცესი წარიმართება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით სასწავლო აუდიტორიაში (თეორიული და პრაქტიკული - 72 საათი). რეალურ გარემოში - პარტნიორის ბაზაზე (პრაქტიკული-20 საათი).

სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს ორი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. ვიზიტისას გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ კოლეჯის მიერ შერჩეულ პირებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ დარგში და შესაბამისად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. გარემო უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას 10 მსმენელისათვის ჯგუფში.

პროგრამას ჯამში ჰყავს სამი პარტნიორი, სადაც მოხდება პრაქტიკული კომპონენტის სწავლება ბოლო ორი კვირის განმავლობაში. ვიზიტის დროს მოხდა ორი პარტნიორთან ვიზიტი.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ.

დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, უნივერსიტეტი 34 წლისაა, აქვს ოთხი სასწავლო კორპუსი, მეორე კორპუსი განკუთვნილია პროფესიული პროგრამების სასწავლო პროცესისთვის. უნივერსიტეტს აქვს ფილიალი ახალქალაქში, სადაც ხორციელდება საკვალიფიკაციო პროგრამები - ელექტროობა, ბუღალტერია, საბაჟო საქმე.

ახალქალაქის ლოკაციაზე იგეგმება ორი პროგრამის დამატება: რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავების ტექნოლოგია და ხორცპროდუქტების გადამამუშავების ტექნოლოგია.

დაწესებულებას კარგად ესმის რეგიონის საჭიროებები, მოთხოვნები, კერძო სექტორთან თანამშრომლობის სირთულეები, ეროვნული უმცირესობის ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან. უნივერსიტეტის საზოგადოებრივი სამსახური (პიარი) მართავს სოციალურ ქსელს და ვებგვერდის სპეციალისტი ცალკე მართავს უნივერსიტეტის ვებგვერდს, სადაც მათ მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ ახდენენ საზოგადოებისთვის სანდო და უტყუარ ინფორმირებას.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის (PDCA) პრინციპით. შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა.

უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განყოფილების სპეციალისტი მართავს სოციალურ ქსელს და პასუხისმგებელია ვებგვერდის (<https://zssu.ge/>) სისტემატურ განახლებასა და ადმინისტრირებაზე, სადაც მათ მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ ახდენენ საზოგადოებისთვის სანდო და უტყუარ ინფორმირებას.

გაცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, უნივერსიტეტის დიპლომის, დიპლომის დანართის, სერთიფიკატებისა და აკადემიური ცნობის მომზადება გაცემას და მათ აღრიცხვას დადგენილი წესით ახორციელებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების სპეციალისტი. პროფესიულ მომზადების მოკლევადიან პროგრამაზე გაცემულია 12 სერტიფიკატი.

პრევენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, რომ პრეზენტაცია საკმაოდ ამომწურავად იქნა წარმოდგენილი, რომ მას არ ჰქონდა კითხვები და მიმართა დაწესებულებას გამოეთქვა მოსაზრება.

დაწესებულების რექტორმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს, საბჭოს აპარატს და განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთისთვის, კერძოდ, უნივერსიტეტისთვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულია და მნიშვნელოვანია მოკლევადიანი პროგრამების განხორციელება, წარმოდგენილი პროგრამა არის ერთ-ერთი, რომელიც თანამშრომლობით არის შემუშავებული და აქტუალურია რეგიონში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა“ /01944/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 424066977) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა /01944/ (დანართი 1).

3. შპს თეგეტა აკადემიის „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის მომზადების პროგრამა“ /01977/ ქ. ფოთში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს თეგეტა აკადემიის „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის გადამზადების პროგრამა“ /01973/ ქ. ფოთში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორის ოპერატორის მომზადების პროგრამა“ /01975/ ქ. ფოთში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

6. შპს თეგეტა აკადემიის „ექსკავატორის ოპერატორის გადამზადების პროგრამა“ /01976/ ქ. ფოთში - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითააცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითააცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 12 ივნისის №651074, №655136, №651077 და №650974 ბრძანებების საფუძველზე დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2024 წლის 3, 4 ივლისს განახორციელეს ვიზიტი შპს თეგეტა აკადემიაში, მისამართზე, ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №2, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების-/გადამზადების პროგრამების „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის მომზადების პროგრამა“, „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის გადამზადების პროგრამა“, „ექსკავატორის ოპერატორის მომზადების პროგრამა“ და „ექსკავატორის ოპერატორის გადამზადების პროგრამა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. პროგრამების შექმნილია USAID-ის პროგრამის „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ მხარდაჭერით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მდგრადობას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას.

დარგის ექსპერტმა პროგრამების პარამეტრებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის მომზადების პროგრამის“ ხანგრძლივობა კვირებში - 12, „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის გადამზადების პროგრამის“ ხანგრძლივობა - 6, „ექსკავატორის ოპერატორის მომზადების პროგრამის“ ხანგრძლივობა - 12 და „ექსკავატორის ოპერატორის გადამზადების პროგრამის“ ხანგრძლივობა - 6 კვირა. ოთხივე პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობაა - 20 - 20 მსმენელი, პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულია - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონე, პროგრამების განხორციელების ადგილია - ქ. ფოთი, ლარნაკას ქ. №2.

დარგის ექსპერტის მიერ გაიცა რეკომენდაციები 1.2, 1.3, 1.4 და 1.6 ქვესტანდარტებთან მიმართებაში.

რეკომენდაციები „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის მომზადების პროგრამასთან“ მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდებას ჩამოშორდეს მომზადების პროგრამა და დარჩეს პროგრამის სახელწოდებად - „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი“;

ქვესტანდარტი 1.6 - დაკორექტირდეს პროგრამის მე-9 სწავლის შედეგი, ისე რომ შესაძლებელი იყოს მისი შეფასება და გაზომვა.

რეკომენდაციები „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის გადამზადების პროგრამასთან“ მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდებას ჩამოშორდეს მომზადების პროგრამა და დარჩეს პროგრამის სახელწოდებად - „საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი“;

ქვესტანდარტი 1.4 - მნიშვნელოვანია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში გაჩნდეს სფეროს მონათესავე დარგის პერსონალის გადამზადების შესაძლებლობა;

ქვესტანდარტი 1.6 - დაკორექტირდეს პროგრამის მე-9 სწავლის შედეგი, ისე რომ შესაძლებელი იყოს მისი შეფასება და გაზომვა.

რეკომენდაციები „ექსკავატორის ოპერატორის მომზადების პროგრამასთან მიმართებაში“

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდებას ჩამოშორდეს „მომზადების პროგრამა“ და დარჩეს პროგრამის სახელწოდებად - „ექსკავატორის ოპერატორი“ - ექსკავატორის ტიპის მითითებით (მაგალითად, ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი).

ქვესტანდარტი 1.3 - პროგრამის მიზანში დაკონკრეტდეს, თუ კონკრეტულად რომელი სახეობის ექსკავატორის ოპერირებაზეა საუბარი.

ქვესტანდარტი 1.6 - დაკორექტირდეს პროგრამის მე-7 სწავლის შედეგი, ისე რომ შესაძლებელი იყოს მისი შეფასება და გაზომვა.

რეკომენდაციები „ექსკავატორის ოპერატორის გადამზადების პროგრამასთან“ მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.2 - პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებას „ექსკავატორის ოპერატორის გადამზადების პროგრამა“ ჩამოშორდეს „გადამზადების პროგრამა“ და დარჩეს პროგრამის სახელწოდებად - „ექსკავატორის ოპერატორი“ - ექსკავატორის ტიპის მითითებით (მაგალითად, ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი).

ქვესტანდარტი 1.3 - პროგრამის მიზანში დაკონკრეტდეს, თუ კონკრეტულად რომელი სახეობის ექსკავატორის ოპერირებაზეა საუბარი.

ქვესტანდარტი 1.4 - რეკომენდირებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში გაჩნდეს სფეროს მონათესავე დარგის პერსონალის გადამზადების შესაძლებლობა.

ქვესტანდარტი 1.6 - დაკორექტირდეს პროგრამის მე-5 სწავლის შედეგი, ისე რომ შესაძლებელი იყოს მისი შეფასება და გაზომვა.

შემდეგ დარგის ექსპერტმა მიმოიხილა წარმოდგენილი პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამის დამატების მიზნით, თეგეტა აკადემიის მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის ანალიზი სხვადასხვა კვლევასა და ანგარიშის მოკვლევაზე დაყრდნობით. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში 15-მდე ტერმინალია, მუდმივად არსებობს მოთხოვნა სპეციალური დანიშნულების მძიმე ტექნიკაზე. აღნიშნული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს კვალიფიციური ოპერატორების რაოდენობის ზრდას საზღვაო ქალაქ ფოთში.

წარმოდგენილი პროგრამების მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროფესიული მომზადების პროგრამების დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ასაკი 18 წელი, საბაზო განათლება, ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს გასაუბრება; პროფესიული გადამზადების პროგრამების დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია დარგში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება - მინიმუმ 6 თვე; საშუალო განათლება, ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს გასაუბრება. პროფესიული გადამზადების პროგრამების დაშვების წინაპირობა არ ითვალისწინებს მონათესავე დარგებში მომუშავე პირების სწავლების შესაძლებლობას, ამასთან დაკავშირებით გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარითა და კომპეტენციით. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს შეფასებადი და გაზომვადი. ამასთან დაკავშირებით გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, სწავლება განხორციელდება შპს თეგეტა აკადემიის A და C სასწავლო გარემოში, ასევე, გამოყენებული იქნება შპს „ტრანსფორდის“ კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მსმენელებს შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ თეორიული და პრაქტიკული კურსი, რაც შესაძლებელს ხდის თითოეულ მსმენელს შეექმნას პროგრამების სწავლის შედეგებზე გასვლისთვის საჭირო პირობები.

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება და ორიენტირებულია პროფესიული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, რასაც წარმოდგენილი პროგრამებიდან უმეტესი წილი ეთმობა. პროგრამები უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით.

თითოეული პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 6 განმახორციელებელი პირი, კერძოდ, მომზადების პროგრამებისთვის განსაზღვრულია 6, ხოლო გადამზადების პროგრამებისთვის 3 განმახორციელებელი პირი. ვიზიტის დროს განხორციელდა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მათი კვალიფიციურობა დარგის მიმართულებით. დაწესებულებას პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს A სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია შესაბამისი ინვენტარი. C გარემო, სადაც წარმოდგენილია პრაქტიკული კომპონენტის შესაბამისი მატერიალური რესურსი. ასევე, პარტნიორი ორგანიზაციის (შპს „ტრანსფორდი“) მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

ამ ეტაპზე C სასწავლო გარემოში არაა განთავსებული მძიმე ტექნიკის ოპერირების სიმულატორი cmlabs 5-Display Advantage Operator Station, რომელიც აკადემიამ შეისყიდა ერთი ერთეული, ვიზიტის დროს დაწესებულებამ განმარტა, რომ ელოდებიან დამამზადებელი კომპანიიდან აღნიშნული მოწყობილობის მოწოდებას. მიუხედავად იმისა, რომ სიმულატორი არაა წარმოდგენილი დაწესებულების და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების და საწარმოს C გარემოს შეფასების საფუძველზე დგინდება, რომ პრაქტიკული კომპონენტის სწავლება სრულადაა შესაძლებელი პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე.

სასწავლო რესურსი ფარავს პროგრამების თემატიკას და მიიღწევა სწავლის შედეგები. პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად უაღრესად მნიშვნელოვანია უახლესი ექსკავატორების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის, ასევე, ოპერატორის ინსტრუქტაჟის სახელმძღვანელოები (service manual და operator's manual), რისი ფლობაც თეგეტა აკადემიისთვის საკუთრებაში დასტურდება.

ქვესტანდარტი 2.4 - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში დარღვეულია, ვინაიდან სახანძრო უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულებას შესასრულებელი აქვს შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია, კერძოდ, ჰიდრანტის მოწყობა, რისთვისაც მათ მიმართეს მერიას და გადაიხადეს საჭირო თანხა, მერიამ დაიწყო პროცედურები და ამ ეტაპზე მერიასთან ერთად მუშაობენ, კერძოდ, მერიამ გასცა ნებართვა და აღნიშნული საკითხი გადაეცა ფოთის წყალმომარაგებას, რომელმაც უკვე იპოვა კონტრაქტორი. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ რეალისტური ვადა ამ საკითხის მოგვარებისათვის არის დაახლოებით ორი კვირა. და შემდეგ მიმართავენ სახანძროს, შესაბამისობის დასკვნისთვის.

რაც შეეხება მე-3 სტანდარტს, შეფასდა დადებითად, კერძოდ, აკადემია აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, „თეგეტა მოტორსი“ წარმოდგენილია ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის ფართო ბაზარზე. არის საქართველოს უმსხვილესი კომპანიების ხუთეულში შემავალი ბიზნეს ჯგუფი და ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელი. აღნიშნული კომპანიის ხედვაა შრომის ბაზარზე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების არსებობა, რაც აკადემიის შექმნისა და არსებობის წინაპირობაა.

შპს თეგეტა აკადემიას და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის 2023 წლის 15 დეკემბერს გაფორმდა უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თეგეტა აკადემიამ დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში მიიღო მეიჯარის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საერთო ფართობით 2434კვ.მ-დან 92 კვ.მ. ფართობით სასწავლო სივრცის მოსაწყობად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შენობის მეორე სართულზე მოეწყო სამი ოთახი: ერთი ოთახი წარმოადგენს სატრენინგო სივრცეს თეორიული სწავლებისათვის (A) გარემო, სიმულაციური სწავლებისთვის (C) გარემო და ადმინისტრაციული ოთახი.

აკადემია აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, დაწესებულებას 2024 წლის 15 მაისის N548 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, უფლების მოპოვების, აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელთა ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის განხორციელების წესი“. წესი არეგულირებს შპს „თეგეტა აკადემიაში“ პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავების, მსმენელთა შერჩევის, ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის განხორციელების პროცედურებსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს.

უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, აკადემია არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, აქვს როგორც სოციალური მედიის გვერდი, ასევე ვებგვერდი-<https://tegetaacademy.edu.ge/ka>, ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, კერძოდ მისია, ხედვა, ღირებულებები, დაწესებულება იყენებს დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას - Eflow. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კომპონენტების საშუალებით აკადემიის ხარისხის მართვის მენეჯერი სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან /წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, აკადემიის როგორც ქ. თბილისის, ასევე, პერიოდულად, წინასწარ დაგეგმილ ვადებში, ქ. ბათუმის და ფოთის მისამართებზე, სისტემატურად ახორციელებს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, გადახედვას და გაუმჯობესებას.

დაწესებულება წარმატებით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში <https://e-vet.emis.ge/>-ზე ასახვას.

დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას.

აკადემია ამ დრომდე არ ახორციელებდა მოკლევადიან პროგრამებს, დაწესებულებას 2024 წლის 15 მაისის №548 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის შემუშავების, უფლების მოპოვების, აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელთა ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის განხორციელების წესის მუხლი 19 გაწერილი აქვს სერტიფიკატის გაცემის პროცედურები.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს წევრი ნათია კვიციანი დაინტერესდა, სიმულატორთან დაკავშირებით, მან მიმართა დარგის ექსპერტს განემარტა, შესაძლებელი იყო თუ არა სიმულატორის გარეშე სწავლის შედეგების მიღწევა და ასევე, დაინტერესდა თუ რამდენი პროცენტი იყო პრაქტიკული კომპონენტი.

დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ სიმულატორის გარეშე შესაძლებელია ამ პროგრამის განხორციელება, რა თქმა უნდა უკეთესია, თუმცა აუცილებელი არ არის, რაც შეეხება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის თანაფარდობას, 60% პრაქტიკული, ხოლო თეორიული - 40%.

შემდეგ ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა, მან განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზი, რომელიც ეხებოდა სახანძრო უსაფრთხოებას, მოგვარებულია, დასკვნა დადებითია, თუმცა ტექნიკურად ვერ ესწრება, დასჭირდება ორი-სამი დღე. რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ყველა რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული. „ექსკავატორის ოპერატორის“ პროგრამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულება სახელწოდებაში დააკონკრეტებდა, რომ პროგრამა ერთციცხვიან ექსკავატორის ოპერირებას ეხება. სიმულატორიც უკვე მალე იქნება ადგილზე, ასევე, კანადელი მხარის ჩართულობით ტრენინგებიც ჩატარდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს, მან განაცხადა, რომ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზი, ასევე, მთელი რიგი რეკომენდაციები იმის საშუალებას აძლევს საბჭოს, რომ განისაზღვროს ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, ასევე, დაწესებულება შეძლებს რეკომენდაციების გათვალისწინებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თეგეტა აკადემიის „საკონტინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორის მომზადების პროგრამა“ /01977/ ქ. ფოთში პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

